მასწავლებელთა
დარგობრივი
ქსელი

პროფესიული
უნარების
საგენტო

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი

გზამკვლევი

2023

რა არის პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი?

მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი არის პროფესიული განათლების მასწავლებელთა გაერთიანება დარგობრივი ნიშნით საერთო ინტერესების, პროექტების, ღონისძიებებისა და სხვადასხვა აქტივობის ერთობლივად განხორციელების მიზნით, რომლის წევრებიც არიან სხვდასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მასწავლებლები და ასწავლიან ერთსა და იმავე ან მომიჯნავე დარგის ფარგლებში.

ქსელები, როგორც მასწავლებელთა სოციალური და პროფესიული ორგანიზების ფორმები, მიიჩნევა ძლიერ საშუალებად ცოდნის ეფექტურად მობილიზებისთვის, უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სიახლეებზე მუდმივი წვდომისთვის.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის უპირველესი მოთხოვნაა მოქნილობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მისი ხელმისაწვდომობა და წარმომადგენლობითობა არა მხოლოდ დარგების დიდი სპექტრის ინკლუზიის, არამედ რეგიონების ჩართვის გზითაც.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის დანიშნულება

პროფესიული განათლების მასწავლებელთა გაერთიანებები უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და გამოცდილების გაზიარების ინოვაციური გზაა. დღესდღეობით, მასწავლებელთა ქსელები მსოფლიოს არა ერთი სახელმწიფოს განათლების სისტემაში თანამშრომლობის წარმატებულ პრაქტიკადაა აღიარებული.

ამასთანავე, დღევანდელ, დინამიურად ცვალებად სამყაროში, აქტუალურია მუდმივი პიროვნული თუ პროფესიული განვითარება და ამ მიღწევების გაზიარება. პროფესიული კოლაბორაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი სწორედ შიდა დარგობრივი ცოდნის გაერთიანებისა და სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაა კოლექტიური ინტელექტის საფუძველზე. ქსელის დანიშნულებაა პროფესიული განათლების მასწავლებლების გაძლიერება და ამასთან საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განვითარება, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, დარგობრივი ტენდენციების გათვალისწინებით.

ვის შეუძლია გახდეს ქსელის წევრი?

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის წევრობა შეუძლია პროფესიული განათლების მოქმედ მასწავლებელს, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს რომელიმე საჯარო ან კერძო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებაში.

დარგობრივ ქსელებში გაწევრიანების მსურველ მასწავლებლებს, სფეროს მიხედვით შეუძლიათ რეგისტრაცია შესაბამის ქსელში, სადაც მათ ასევე საშუალება აქვთ იპოვონ კოლეგები პროგრამისა და მოდულის მიხედვით.

ქსელების სარეგისტრაციო ფორმები

#	ფართო სფერო	სარეგისტრაციო ბმული	#	ვიწრო სფერო
1	განათლება	განათლების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის სარეგისტრაციო ფორმა	1	სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება (აღმზრდელი)
2	ხელოვნება	ხელოვნების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის სარეგისტრაციო ფორმა.XLSX	2	აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება (ფოტოგრაფია, აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, ციფრული ხელოვნება, ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები)
			3	სახვითი ხელოვნება
			4	გამოყენებითი ხელოვნება (ფლორისტიკა, ხის, ქვის და ლითონის მხატვრული დამუშავება, საიუველირო საქმე, გამოყენებითი ხელოვნება, მხატვრული ქსოვილები, მხატვრული მინა)
			5	მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება (სამუსიკო ხელოვნება)
3	ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის სარეგისტრაციო ბმული.XLSX	6	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
			7	საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა
4	ბიზნესი და ადმინისტრირება	ბიზნესისა და ადმინისტრირების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	8	საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა
			9	ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა
			10	მენეჯმენტი და ადმინისტრირება
			11	სამდივნო და საოფისე საქმე

5	ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	12	მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება
			13	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი (ინფორმაციის ტექნოლოგიები, ვებ-ტექნოლოგიები)
6	ინჟინერია და საინჟინრო საქმე	ინჟინერიისა და საინჟინრო საქმის მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	14	გარემოს დაცვის ტექნოლოგია (შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები)
			15	ელექტრობა და ენერგია (ჰაერის კონდიცირება)
			16	ელექტრონიკა და ავტომატიზაცია (სამრეწველო ავტომატიცაზია, ტელეკომუნიკაცია)
			17	მექანიკა და ლითონის საქმე (შედუღება)
			18	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები (სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტი, აგრომექანიზაცია)
			19	ინჟინერია და საინჟინრო საქმე
7	წარმოება და გადამუშავება	წარმოებისა და გადამუშავების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	20	სურსათის გადამუშავება (სასურსათო პროდუქტების წარმოება)
			21	ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავის სამკერვალო წარმოება)
			22	სამთო საქმე და მოპოვება
8	არქიტექტურა და მშენებლობა	არქიტექტურისა და მშენებლობის მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	23	არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება (აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები)
			24	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა)
9	სოფლის მეურნეობა	სოფლის მეურნეობის მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	25	ბიომეურნეობა
			26	სოფლის მეურნეობა
			27	მემცენარეობა და მეცხოველეობა
			28	მებაღეობა
			29	მევენახეობა-მეღვინეობა
10	მეტყევეობა	მეტყევეობის მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	30	მეტყევეობა (სატყეო საქმე)
11	მეთევზეობა	მეთევზეობის მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	31	მეთევზეობა
12	ვეტერინარია	ვეტერინარიის მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	32	ვეტერინარია
13	ჯანდაცვა	ჯანდაცვის მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	33	დენტალური მედიცინა
			34	საექთნო და სამეანო საქმე
			35	ფარმაცია

14	პერსონალური მომსახურებები	პერსონალური მომსახურებების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	36	თმისა და სილამაზის მომსახურებები(ინფორმაციის ტექნოლოგიები, ვებ-ტექნოლოგიები)
			37	სასტუმრო, რესტორანი და კვება
			38	მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
15	უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები	უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	39	ადამიანებისა და საკუთრების დაცვა (საბაჟო საქმე)
16	ტრანსპორტის მომსახურებები	ტრანსპორტის მომსახურებების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	40	ტრანსპორტის მომსახურებები (ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება; თევზსაჭერი გემის ნავიგაცია; საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია; საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება; რკინიგზის ოპერირება.)
17	ზოგადი მოდულები	ზოგადი მოდულების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი.XLSX	41	ზოგადი მოდულები: ქართული ენა; უცხოური ენა; მეწარმეობა; ინფორმაციული წიგნიერება; რაოდენობრივი წიგნიერება; ინტერპერსონალური კომუნიკაცია; სამოქალაქო განათლება; პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები.
18	ინტეგრირებული მოდულები	ინტეგრირებული მოდულების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი	42	ინტეგრირებული მოდულები: კომუნიკაცია ქართულ ენაზე; მათემატიკური წიგნიერება; მოქალაქეობა; მეწარმეობა; მეცნიერება და ტექნოლოგიები;

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის ტიპები და მართვის ფორმა

ქსელმა მრავალგვარი ფორმა შესაძლოა შეიძინოს გაერთიანების არსიდან და მიზნებიდან გამომდინარე. მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებულია სხვადასხვა ტიპის ქსელები, მათ შორის:

- **დაწესებულების მასწავლებელთა შიდა ქსელი;**
- **მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი;**
- **ცვლილებებთან დაკავშირებული ქსელი;**
- **სექტორთაშორისი ქსელები;**
- **საერთაშორისო ქსელები.**



მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი თვითმართვადი ორგანოა, რომელსაც მკაცრი იერარქიული სისტემა არ გააჩნია და პასუხისმგებლობა გადანაწილებულია წევრებს შორის.

საწყის ეტაპზე, ქსელის ადმინისტრირების მიზნით, შესაძლებელია, წევრებიდან შეირჩეს ლიდერი/ლიდერთა მცირე ჯგუფი, რომლებიც გაინაწილებენ ქსელში არსებულ მიმართულებებს და საკუთარი ქვე-ჯგუფის ფარგლებში, კოორდინაციას გაუწევენ დაგეგმილ ღონისძიებებს/აქტივობებს, იდენტიფიცირებული საკითხების გადაჭრას.

გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლებელია, ქსელის საკომუნიკაციო პლატფორმის განვითარება/დამატება, მაგალითად საკუთარი ვებ-გვერდის შექმნა, რომელიც ქსელის მონაწილეებს, უფრო მეტ რესურსსა და მრავალფეროვანი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას მისცემს.

კოლეგებს შორის ურთიერთობის ყველაზე მოსახერხებელი ფორმა ონლაინ კომუნიკაციაა, თუმცა, არაა სავალდებულო მხოლოდ ამ ფორმით წარიმართოს საქმიანობა. შესაძლებელია ღონისძიებების სხვა ფორმატში

პროფესიულ მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის მიზნები

1. პროფესიული კომპეტენციების გაძლიერება

2. პროფესიულ (კარიერულ) განვითარებაზე ზრუნვა

3. ინოვაციური სწავლების დანერგვის ხელშეწყობა

4. კოორდინაცია დაინტერესებულ მხარეებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთა ინფორმაციული მხარდაჭერა

5. პროფესიული კეთილდღეობის გაძლიერება, ადვოკატირება (უფლებების დაცვა, კეთილსაიმედო სამუშაო გარემო)

6. პროფესიული პროგრამების / სტანდარტების განვითარება

7. დარგის პოპულარიზაცია

8. დარგის საჭიროებების ანალიზი

9. რესურსების განვითარება

10. ინტერნაციონალიზაცია

დარგობრივი ქსელის აქტივობები მრავალფეროვანი და განსხვავებული შეიძლება იყოს. ქსელს აქვს შესაძლებლობები თავად დაგეგმოს ონლაინ ღონისძიებები, (ონლაინ შეხვედრები, ვებინარები, ინფორმაციის/გამოცდილების გაზიარებისა თუ სასწავლო რესურსების შექმნის მიზნით). პროფესიული განვითარების რიგი ღონისძიებები, შესაძლოა, განხორციელდეს დარგის/კერძო სექტორის შესაბამისი ექსპერტებისა და მოწვეული სპეციალისტების (მაგ. შრომის უსაფრთხოების, სანიტარული ნორმების, გარემოსდაცვითი და ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით ან სხვა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე) ჩართულობით.

მოგვიანებით, როდესაც მასწავლებელთა დარგობრივ ქსელში ფორმირდება თანამშრომლობის სტაბილური ჯგუფები კონკრეტული პროფილისა და ფუნქციების განხორციელების პოტენციალით, ქსელმა შეიძლება დაგეგმოს და განახორციელოს ისეთი სერვისები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება დამატებითი დაფინანსების მიღება, მაგ.: სასერტიფიკაციო პროგრამები, ლექციები, ვებინარები, კონფერენციები, კონკურსები ლოკალურ თუ საერთაშორისო დონეზე და სხვა, როგორც ონლაინ, ისე პირისპირ ფორმატში.

დარგობრივი ქსელის მონაწილეებს თავად აქვთ შესაძლებლობა დაგეგმონ და განახორციელონ ზემოთ აღნიშნული აქტივობები, იყვნენ ინიციატორები, უზრუნველყონ შესაბამისი პროექტების შემუშავება, რესურსების მოძიება და იმპლემენტაცია.